სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

01 ოქტომბერი 2026

N 21/14379

შპს "ცეკურის"

მის:თბილისი, თეიმურაზ ბოჭორიშვილის ქ. №21, სადარბაზო №2, სართული №1
ელ.ფოსტა: info@enseco.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ - სააგენტო) განიხილა ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი 2026 წლის 13 აგვისტოს N12333 განცხადება და დაგეგმილი საქმიანობის (მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელი ძეგვში შპს „ცეკურის" ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილება) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და გაცნობებთ, რომ დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

1. სს „საქართველოს რკინიგზის" ცნობით, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასაკმარისია დაგეგმილი პროექტის სარკინიგზო ინფრასტრუქტურაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესაფასებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სს "საქართველოს რკინიგზაში" საჭიროა წარდგენილი იქნეს სარკინიგზო ინფრასტრუქტურაზე მოსალოდნელი ზემოქმედების თაობაზე შესაბამისი საექსპერტო დასკვნა, რომლის წარდგენამდე, კომპანია მოკლებულია შესაძლებლობას, გასცეს თანხმობა ხსენებული პროექტის განხორციელებაზე;
2. წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშისა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების (შემდგომ-ზდგ) ნორმების პროექტის მიხედვით, არაორგანული მტვრის (20% SiO_2, ზდკ-ს წილი 0.98) და ნახშირწყალბადების (ზდკ-ს წილი 0.91) კონცენტრაციები დასახლებული პუნქტების საზღვართან (უახლოესი მოსახლე, №1 საწარმოო უბნიდან დაშორებულია ≈120 მ-ით, ხოლო №2 საწარმოო უბნიდან ≈89 მ-ით) არ აღემატება 1 ზდკ-ს, თუმცა მათი მნიშვნელობები მეტად მაღალია. ნედლეულის და პროდუქციის ტრანსპორტირისას წარმოშობილი მტვრის, ცემენტის მტვრის და შეწონილი ნაწილაკების ერთობლივი მოქმედების შედეგად დასახლებული პუნქტის საზღვარზე დაბინძურების დონემ შეიძლება გადააჭარბოს ზღვრულად დასაშვებს, შესაბამისად მიზანშეწონილია შემუშავდეს და გზშ-ის ანგარიშში აისახოს თვითმონიტორინგის ფარგლებში ჰაერზე ზემოქმედების შემამცირებელი დამატებითი ღონისძიებები, რომელიც არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების დროს უზრუნველყოფენ ჰაერის ხარისხის დაცვას დასაშვებ დონეზე;
3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ასფალტის საწარმოს წარმადობაა 60ტ/სთ, რაც წლიური სამუშაო ფონდის მიხედვით შეადგენს 124800 ტონას. აქვე აღსანიშნავია, რომ

მითითებული ასფალტის წარმოებისთვის გამოყენებული ნედლეულის (ინერტული მასალის, ქვიშა-ღორღის, ბიტუმის და მინერალური ფხვნილის) რაოდენობა არ შეესაბამება მიღებული ასფალტის რაოდენობის თანაფარდობას (ჯამური გამოყენებული ნედლეულის რაოდენობა ცხრილი 1.1.-ის მიხედვით). შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს 1 ტ ასფალტის დამზადებისთვის გამოყენებული ნედლეულის რაოდენობა და ასფალტის წარმოებასთან დაკავშირებული წყაროების იდენტიფიცირება, რომლის მიხედვითაც დაანგარიშებულია მავნე ნივთიერებათა მაჩვენებლები ნედლეულის წარმადობის შესაბამისად;

4. გზშ-ის ანგარიშისა და ზდგ-ის ნორმების პროექტის თანახმად, ინერტული მასალის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს (№1 და №2 დანადგარების) წლიური წარმადობაა 104 000 მ^3/წელ, ხოლო ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში (შემდგომ-ზდგ) (ცხრილი 1.1) საპროექტო წარმადობაში მითითებულია 96000 მ^3/წელ, რაც საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას.

5. ზდგ-ის ნორმების პროექტში (ცხრილი 1.1) აღნიშნულ ნედლეულის სახეობებსა და რაოდენობებში ინერტული მასალის რაოდენობად მითითებულია 10400 მ^3/წელ, ასევე ამავე დოკუმენტსა და გზშ-ის ანგარიშში ზოგად მითითებულია 104 000 მ^3/წელ, ხოლო გზშ-ის ანგარიშსა და ზდგ-ის ნორმების პროექტში წარმოდგენილ ასფალტის წარმოების რეცეპტურის მიხედვით მოცემული კომპონენტების - ინერტული მასალის ჯამური რაოდენობა შეადგენს (54 912ტ/წელ + 27 456 ტ/წელ + 19 968ტ/წელ + 11 232ტ/წელ) 113 568 ტ/წელ. შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს როგორც ასფალტის წარმოებისათვის საჭირო ინერტული მასალისა და ასევე ჯამურად საწარმოში გათვალისწინებული ინერტული მასალის რაოდენობა, ასევე თითოეული წარმოებისათვის გათვალისწინებული ნედლეულის რაოდენობა;

6. წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში ბეტონის ნარევის წარმადობაა 62 400 მ^3/წელ, ხოლო ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის ცხრილი 1.1-ის მიხედვით ბეტონის ხსნარის საპროექტო წარმადობაა 57600 მ^3/წელ, რაც საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;

7. წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშისა და ზდგ-ის ნორმების პროექტის მიხედვით ასფალტის დამზადებისთვის საჭიროა 25მ^3/სთ ბუნებრივი აირი (შესაბამისად ქვეთავი 4.3.1 და ქვეთავი 3.1). აღნიშნული არ შეესაბამება ატმოსფერული ჰაერის დაანგარიშების ნაწილში მითითებულ რაოდენობას და შესაბამისად საჭიროებს დაზუსტებას;

8. წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშსა და ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში განხილულია ემისიის გაანგარიშება მინერალური ფხვნილის სილოსიდან (გ-2), რადაც მინერალური ფხვნილის რაოდენობად მითითებულია 12000 ტონა წელიწადში, ხოლო დაანგარიშება შესრულებულია 5616 ტ/წელ რაოდენობის შესაბამისად;

9. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-1729 ბრძანებით გათვალისწინებულ დოკუმენტაციაში, გ-3 გაფრქვევის წყაროს - ემისიის გაანგარიშება ბიტუმის გადატვირთვისას და რეზერვუარებში შენახვისას მოცემულია 7500 ტ/წელ ბიტუმის შესაბამისად დაანგარიშებული მონაცემები, რაც იდენტურად ასახულია 5616 ტ/წელ ბიტუმის პროპორციულად. აღნიშნულიდან გამომდინარე საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

10. ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში დაზუსტებას საჭიროებს გაფრქვევის არაორგანიზებული წყაროებიდან საანგარიშო კოეფიციენტების (K_3) მაჩვენებლების გამოყენების საფუძველი, ვინაიდან ქარის მაქსიმალური სიდიდე არსებული რეგიონის კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობების მიხედვით შეადგენს 6.2მ/წმ-ს;

11. ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში ფონური მახასიათებლების განხილვისას გათვალისწინებულია ინდ. მეწარმე ბადრი წერეთლის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო, შპს „საქავტოგზას“ ასფალტის ქარხანა და შპს „ლუკოილ ჯორჯიას“

ნავთობბაზა და შესაბამისად ზემოაღნიშნული საწარმოებიდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მონაცემები. ობიექტის სიახლოვეს ასევე ფიქსირდება სხვა წარმოებები: შპს „ძეგვი 2025“, შპს „მარმარილო", შპს „კავკას პლასტი“, შპს „სიემჯი კონსტრაქშენი“ და სხვა. გზშ-ის ანგარიშში დაზუსტება/დასაბუთებას საჭიროებს ზემოაღნიშნული წარმოებების კუმულაციურ ზემოქმედებაში გაუთვალისწინებლობის საკითხები. ამასთან, კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისას გამოყენებული საწარმოების გაფრქვევის მონაცემები საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;

12. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ზოგად აღნიშნულია, რომ ბიტუმის ემულსიის დასამზადებლად საჭიროა მარილმჟავა, ხოლო ზდგ-ის ნორმების პროექტში ბიტუმის ემულსიისათვის საჭირო ნედლეულის დასახელებაში აღნიშნულია გოგირდმჟავა, რაც საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირება;

13. წარმოდგენილ გზშ-ის დოკუმენტაციაში არ იკვეთება №1 და №2 საწარმოო უბნებზე არსებული სალექარების პარამეტრები, მათი რაოდენობა, საწარმოო უბნების მიხედვით მათი განლაგება, რაც ამავდროულად ასახული უნდა იყოს საწარმოს გენ-გეგმაზე. ამასთან, დოკუმენტში მითითებულია ტერმინი „მრავალსაფეხურიანი სალექარი“, რაც საჭიროებს განმარტებას ამასთან, გენგეგმაზე დატანილი უნდა იყოს ჩამდინარე წყლების მართვის სისტემა ჩამდინარე წყლების წარმოქმნის წყაროების დატანით. ზემოაღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას;

14. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოო პროცესი დაყოფილი ორ უბნად. №1 საწარმოო უბანი (ს/კ 72.11.05.302, ს/კ 72.11.05.303, ს/კ 72.11.05.279, ს/კ 72.11.05.006 და ს/კ 72.11.05.406) აერთიანებს მიწის ნაკვეთებს, სადაც განთავსებულია: ასფალტის საწარმო, ბეტონის კვანძი, ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარები და სალექარი. №2 საწარმოო უბანზე (ს/კ 72.11.02.057) წარმოდგენილია ბიტუმის სამარაგო რეზერვუარები, ბიტუმის ემულსიის საწარმო, საქვაბე მეურნეობა, ბეტონის ნაკეთობებისა და ბლოკის საამქროები, ასევე დამხმარე ლოჯისტიკური ერთეულები (ავტოგასამართი სადგურები, სარემონტო ბოქსები და სამრეცხაო). ამასთან, როგორც უშუალოდ გზშ-ის ანგარიშში, ისე თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია საწარმოს გენ-გეგმა 1 და გენ-გეგმა 2 შესაბამისი ექსპლიკაციით, რომელიც დაბალი გარჩევადობისაა, ვინაიდან არცერთ გენ-გეგმაზე არ არის მითითებული რომელ საწარმოო უბანს წარმოადგენს, გენ-გეგმაზე დატანილი ექსპლიკაცია გამიჯნულია სხვადასხვა ფერებით, თუმცა ფერებს შორის არ არის მკვეთრი განსხვავება, რაც ასევე ართულებს სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოების იდენტიფიცირებას. ამასთან, “სალექარები”ვდატანილია პირობითი აღნიშვნით, თუმცა არ არის დანომრილი და მხოლოდ ვიზუალური ფორმით იდენტიფიცრდება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი გენ-გეგმები საჭიროებს დაზუსტება/კორექტირებას;

15. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ს/კ 72.11.05.279 (2000 მ2) ნაკვეთზე დანადგარების განთავსება არ იდენტიფიცირდება, მათ შორის არც წარმოდგენილ გენ-გეგმაზე არ არის შესაბამისი აღნიშვნები გაკეთებული. დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს რის განხორციელებას აპირებს შპს “ცეკური” დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების ფარგლებში ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე;

16. წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ტექნოლოგიური პროცესისთვის საჭირო ბიტუმის მიღება-მომზადებას და შენახვას უზრუნველყოფს ერთი ერთეული 25-ტონიანი ჰორიზონტალური რეზერვუარი, რომელიც ცხელდება ბუნებრივი აირით (25 მ^3/სთ), რომელსაც ტემპერატურის შენარჩუნებისთვის აქვს “ზეთის პერანგი“. ჩანაწერი “ზეთის პერანგი” საჭიროებს განმარტებას;

17. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ობიექტის საწარმოო მიზნებისთვის, მათ შორის სამსხვრევ-დამახარისხებელი ტექნოლოგიურ ხაზის დანამვის მიზნით წყლის აღება ხორციელდება მდ. მტკვრიდან (წყალაღების GPS კოორდინატები: X-469309, Y-4632867). განსაზღვრული წერტილიდან წყლის აღება ხორციელდება 50 მ^3/სთ წარმადობის ტუმბოს და დაახლოებით 60 მმ დიამეტრის მილის საშუალებით, რომელიც მიეწოდება საწარმოო ციკლს. დეტალიზაციას საჭიროებს ინფორმაცია საწარმომდე წყლის მიწოდების ტექნიკური საშუალებების შესახებ (მილის სიგრძის

მითითებით), შესაბამის Shp ფაილებსა და გენ-გეგმაზე დატანით, ასევე წყალაღების GPS კოორდინატები (ვინაიდან მდინარიდან დაცილებულია დაახლ. 40 მეტრით)

18. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით ტექნოლოგიური პროცესებისათვის (ქვიშა-ხრეშის დანამვა/რეცხვა, სინესტის აღება და ა.შ) ზედაპირული წყლის ობიექტიდან სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის ფუნქციონირებისათვის წლის განმავლობაში საჭიროა დაახლოებით 26 000 მ^3 წყლის აღება, თუმცა ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია სამსხვრევ-დამახარისხებელი ტექნოლოგიური ხაზის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის მტვრით დაბინძურების პრევენციის მიზნით ტექნოლოგიური ერთეულების წყლის დანამვის სისტემით (ე.წ სპრინკლერებით) აღჭურვის შესახებ. ამასთან, დაზუსტებას და დეტალურად განხილვას საჭიროებს აღნიშნული სპრინკლერების მოწყობის საკითხი კონკრეტული ტექნოლოგიური უბნებზე, კერძოდ, ნედლეულის ან/და შუალედური პროდუქტის მსხვრევის, გაცრა/დახარისხებისას, ასევე ნედლეულის ან/და შუალედური პროდუქტის სამსხვრევი დანადგარის მიმღებ ბუნკერში ჩაყრამდე. იმ შემთხვევაში თუ ყველა უბანი არ იქნება აღჭურვილი ზემოაღნიშნული წყლის დანამვის სისტემით, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია აღნიშნული უბნების/ოპერაციების ინკაფსულირების ან/და წარმოქმნილი მტვრის აირმტვერდამჭერი მოწყობილობის საშუალებით შეკრება/დაჭერის შესახებ;
19. საჭიროა წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია ღიად დასაწყობებული ნედლეულის ამტვერების მაქსიმალურად შემცირების ღონისძიებების შესახებ, მათ შორის დასაწყობებული გროვების დაფარვა-ეკრანირების, დამცავი ზოლებით/კედლებით შემოღობვის ან ქარისგან დამცავი ხელოვნური და ბუნებრივი ბარიერებით შემოზღუდვის უზრუნველყოფის საკითხები;
20. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, (მე-18 და მე-19 პუნქტებით) გათვალისწინებული საკითხები შესრულებული უნდა იყოს "გარემოსდავითი ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2026 წლის 14 ივლისის N324 დადგენილების მოთხოვნების დაცვით;
21. საჭიროა წარმოდგენილი იყოს ნედლეულისა და მზა პროდუქციის სატრანსპორტო ოპერაციების სქემის მუნიციპალიტეტთან შეთანხმების საკითხი;
22. დაზუსტებას საჭიროებს ხანძარსაწინააღმდეგო მიზნით გამოყენებული წყლის რაოდენობა;
23. წარმოდგენილ გზშ-ისა და ზდგ-ის პროექტებში მითითებული შპს "ცეკურის" იურიდიული მისამართები არ ემთხვევა ერთმანეთს და საჭიროებს დაზუსტებას;

გთხოვთ, ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით ორი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენა. დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე ექსპლუატაციის პირობის ცვლილების თაობაზე თქვენ 2026 წლის 13 აგვისტოს განცხადებასთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეჩერებულია და სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება.

არჩილ ადამია

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/14379-21-2-202610011401